

შინაური საქმეები.

№ 32.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მებუთე.

✎ ჟოველ-კვირეული გაზეთი ✎

კვირა, 9 სექტემბერი 1912 წელი

ჟოველ-კვირეული გაზეთი

„შინური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში სა-
ფურთაოდო—კაზაკოვის შე-
სახვევში № 17). და თბილისში გამომცემელს სომხის პაზარში, სიმონიანის ქუჩის
მღაზიაში. გამოცემა უფასოა თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	სახ. წლით:	სამი თვით:	ერთი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მოწერითვის შემთხვევაში განაწილდეს: თავიდან 2 მ. და 1 ოქტის 2 მ. განსხვავებით ფასი წინა გვერდზე პეტრიტო სტრეიჩონი ორი შაური. უანსკელზე 7 კ. ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურის: 1. ჭეშმარიტი ქადაგების მოქმედება—ია-
თეობისა; 2. საკითხი სულის უკვდავებაზე [დასასრული]
—ფი—ჰე სი—ძე-სი; 3. ყოვლადსამღვდელო გორის ეპი-
სკოპოსის ანტონის მოგზაურობა ხევესურეთიდან ერწო-
თიანეთში—ქართველი ოსეთში; 4. სამღვდელოთა
ცხოვრებიდან—ერთი სოფლის მღვდელთაგანისა; 5. ნა-
სწაველი მღვდლების ლტოლვა—მღ. ნესტორ დევიძისა;
6. კიდევ ზვენ ხალხურ პოეზიაზე—მღ. მ. კვლენჯე-
რიძისა; 7. უცხოეთის მიმოხილვა—გულკეთისა;
8. მასწავლებელთა ცხოვრებიდან—ემანუილისა; 9. მრე-
ლისაგან მადლობა—ვინმე მწვანეყვავილელისა.

ჭეშმარიტი ქადაგების მოქმედება.*)

მწყემსთა შექმნეს რუსეთი,—მათ, რო-
გორც სწერს გოგოლი, თავის მხრებზე გამო-
იტანეს წმიდა-წმიდათა ეკლესიისა, წარსულ
საუკუნოებში. წამებით და მოღვაწეობით აღ-
ბეჭდეს მათ ჭეშმარიტება ქრისტეს სიტყვისა
და ნუ თუ ეხლა უარს ჰყოფენ მამათა ან-
დერძს?

სრულიადაც არა, მაგრამ აქვსთ კი საშუ-
ალები, სად არის მისი საშუალება, რომ გაუ-
ღვიძონ მძინარე სულიერი სინდისი ძეთა ამა
საუკუნისათა?

არის: ესრეთი საშუალება პირველად ყოვ-
ლისა არის რასაკვირველია, სიტყვა—ქადაგება.
ვიცი, რომ ამ საშუალების განმაცხოველებელ
ძალას ბევრი აღარ ერწმუნება დღეს, მაგრამ

მღვ. მ. მიხაილის წიგნიდან „Новые пути.“

მაინც ვბედავ და ვიტყვი, რომ ქადაგება ერთად ერთი საშუალებაა. „ჩვენ ელაპარაკობთ, მაგრამ სიტყვა, ჩვენი მკვდარია“. თუ მკვდარია უნდა იყოს ცოცხალი... ამისთვის არ არის საჭირო არც მქადაგებლის ნიჭი, არც ცეცხლებრივ მწველი ენა და არც დიდი განათლება. საჭიროა იგი გამოვაცოცხლოთ და მკვდრებით აღვადგინოთ ჩვენსავე გულში და აღვაგოსოთ სიყვარულით.

სხვის გულის სიღრმეს და სულს რომ სიტყვა ჩასწვდეს და შეეხოს, მისთვის მხოლოდ ერთია საჭირო, ეს ის, რომ იგი გამოდიოდეს ნამდვილ მოყვარულ გულიდგან. არის მოთხრობა ერთ მხატვარზე, რომელიც სულ ერთგვარ წითელი საღებავით ხატავდა სურათებს, მაგრამ შთაბეჭდილებას კი ძლიერს ახდენდა მნახველებზე. სხვა მხატვრებსაც უნდოდათ ამ საღებავის ქიმიური შედგენილობის გაგება, მაგრამ ამაოდ. მოკვდა მხატვარი, გახადეს ტანი. საიდუმლოება მისი სურათების შთაბეჭდილების სიძლიერისა მაშინ გამოჩნდა, მას უნახეს მარცხენა გვერდზე, გულის პირდაპირ კრილობა, თურმე მხატვარი წითელ საღებავათ თავის სისხლს ხმარობდა.

წერა საკუთარი გულის სისხლით, გამოტანა გულის სიღრმიდგან სიტყვისა, აი სად არის საიდუმლოება დამშონავებელი და გავლენიანი სიტყვისა და ქადაგებისა.

სხვაფერიც არც შეიძლება. მოქმედებს სულზე არა მხოლოდ ლიტონი სიტყვა, არამედ ნება, სიყვარული და ნდობა ჩაწნული სიტყვაში.

სიტყვა მხოლოდ აზრისა და ნების გამომხატველია და სიტყვაც მხოლოდ მაშინ არის ცხოველი, როდესაც მაში გამოსქვივის სიყვარული, ლოცვა, ვედრება და სურვილი ძმათა ცხოვნებისა.

სიტყვა გულის საღრმიდგან უნდა ამოდიოდეს და იშვას, როგორც დედისაგან შვილი მისი სისხლით და არსებით გაზრდილი, იგი უნდა ჩაისახოს გულში სიცოცხლის წყაროდან იმ სიტყვიდგან და მისი სიყვარულით, რომელიც სახარებაში ღმერთად იწოდება. აი ამგვარი სიტყვა გააღვიძებს სულს და უკიდურეს

შემთხვევაში ჩააფიქრებს, ან მის გარშემო მიმოახედებს.

ჩვენ რომ შვილნი არა ვართ ქუხილისა, ჩვენ ვინ მოგვცა ის სიტყვა, რომელიც ჰქუხს, ელავს, სცემს კვერივით და ალღობს გაყინულ გულს. ჩვენ მოსესავით ენაბრგვილები ვართ.

ღიახ, მაგრამ ამ ენაბრგვილობა არ შეიყვანა ებრაელები ეგვიპტიდგან აღტქმის ქვეყანაში? ვამბობ მისთვის, რომ გაყინული გულის მოღობისა და გაღლობისათვის არ არის საჭირო მგრგვინავი სიტყვა.

რომელი წიგნია, სახარების შემდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სწვდება გულს? ეს წმიდა იოანეს ეპისტოლეა, მაგრამ ამაზე უფრო მდაბიოთ და უმჭევრმეტყველოთ დაწერილ წიგნს ვერ ნახათ. ამის სიტყვა წყნარი, სათუთი სიყვარულით ეხება თქვენს გულს, უწევს მისს სიღრმემდი, რჩება სულში სამუდამოთ და გვიწვევს ბავშურ უმანკოების, სიწმიდის და სიყვარულისადმი. ეს სიტყვა არ ჰქუხს, არამედ გესმისთ, როგორც მშობლური სიმღერის მგლოდია, გაგონილი უცხოეთში, როგორც ხმა ზეციურ სამშობლოსი დადუმებული „ამა მიწიერ ხმაურობით“. სიტყვა წმიდა იოანესი ისმის გულის სიღრმეში, სცხოვრობს მასში და გიწოდებსთ დაეიწყებულ სამშობლოსაკენ. ეს მისთვის, რომ მას უყვარდა და ის, ენაბრგვილი და თუ გინდ მუნჯიც ყოფილიყო, მაინც მეტს იქადაგებდა სიყვარულზე, მარტოდენ ხელის ნიშნებით, ვინემ მჭევრმეტყველი თანამედროვე მქადაგებელი.

ცხოველი სიტყვა ცოცხალ სულიდგან ამოდის, ეს პირველად და მემრე ის უნდა იყოს ცოცხალი ფორმით და შინაარსითაც.

მკვდარი სიტყვა არ მოქმედობს, — და ან იმოქმედებს ფორმით მკვდარი სიტყვა, წაკითხული რვეულიდგან, თვით მქადაგებლისათვის უცხო?

დასწერენ ან გადმოიწერენ — და მერმე კითხულობენ. სად არის აქ სიტყვა? სადაც კითხულობენ და ლაპარაკობენ, იქ კითხვაა, და არა „სიტყვა“; საჭირო კი არის სიტყვა. კითხვის დროს მსმენელი ესაუბრება მესამე პირს

მისთვის უცხო, რომელთანაც არავითარი სულიერი კავშირი არ აქვს, თუგინდ მღვდელი თავის დაწერილ ქადაგებასაც ჰკითხულობდეს.

სიტყვა რომ იყოს თვით ფორმით ცოცხალი ბაასი, ეს სრულებითაც არ არის საძნელო, ამისთვის ჩვენ არ გვესაჭიროება მკერმეტყველური ქადაგებანი ფილარეტისა. სთქვი ისე, როგორც ბაასობ გზაში, სახლში, სკოლაში ამხანაგებში და ყოველგან მხოლოდ გამსჭვალული ქრისტიანულ ეკლესიური სულით, უთუგინდ შეუმუშავებლად უბრალო ენით. გეტყვი, არც საჭიროა შენი ქადაგების შემდეგ, რომ ვინმე ამბობდეს: „რა საუცხოოა ქადაგება იყო“-ო, თუ ამას იტყვიან სხანს, შენი სიტყვა დაკარგულია, დაკარგულია თესლი. საჭიროა რომ შენმა ქადაგებამ ჩააფიქროს მსმენელი და ტაძრიდან ჩუმად გამოვიდეს. იგი უნდა თავის სინდისის სიღრმეში ეკითხებოდეს თავს: „მაშ რა ვქნა“? და ან: „უნდა შევცვალო გზა—უნდა წაიღე ღვთისაკენ“.

მოდის მოამბე, რომელიც ამბობს ნაწყვეტ ნაწყვეტათ: დავიღუპეთ... მტერი ახლას არის... მოდიან.. მოგვადგენ.. დავებოცენ... აქცევენ... თავს უშველეთ!.. განა ამ დროს მოამბის გლახათ ნათქვამის კილვას დაიწყებ?

გამოდის ქადაგებელი კათედრაზე, მას უყვარს მსმენელი, მისთვის მათი ცხოვრება ძვირფასია, ის იტანჯება და სწუხს მათ დაღუპვაზე... ის ნათლად ჰხედავს მათ სულის იარებს და იწყებს ლაპარაკს, როგორც ენა-ბრგვილი, როგორც მოსე. და განა არ იგრძნობენ და იფიქრებენ მსმენელი, პირველი სიტყვის დაწყებისთანავე, რომ მათ ებაასებთან მოახლოებულ მტერზე და დაღუპვაზე?

ან რა ძნელი გასაგებია მათთვის, რომ კათედრაზე არა მკერმეტყველი ორატორი სდგას, არამედ მოამბე მოსული, რომელმაც ცეცხლი უნდა აღანთოს წმიდა მამანტის კოშკთან— არიქა თავს უშველეთ „სარაცინები მოდიან“-ო.

შეიგნე მღვდელი, —სწერს ამბროსი ხარკოველი, შენი ძალა, დაანებე თავი დაძველებულ ფორმებს ქადაგებისას და გამოელოპარაკე

ცოცხალი, მოყვარული და დამაჯერებელი სიტყვით.

იათვოზი.

საკითხი სულის უკვდავებაზე.

(დასასრული¹).

ცხოვრებას რომ აზრი ჰქონდეს, განა ამისთვის უეჭველად საჭიროა, რომ ის სიკვდილის შემდეგ გაგრძელდეს. ამის წინააღმდეგ ჩვენ გვეტყვიან, რომ გონიერი ადამიანი ასეთ აზრს კაცობრიობისადმი სამსახურში ჰპოვებს. დავეთანხმით იმის მოლაპარაკეს, რომელიც ამბობს, რომ კაცობრიობა განკეთილშობილების, სისრულის კანონს ემორჩილება. მაგრამ ეს ხომ უეჭველია, რომ კაცობრიობა მოისპობა. ვისაც არ სწამს, რომ ქვეყანა დასასრულის მექონია, ის სწავლულთა წინასწარმეტყველებას უნდა ერწმუნოს. უკანასკნელი ორნაირ შეხედულებისანი არიან, ერთი ასეთია: ადამიანი წინეთ მოისპობა, ვინემ მისგან დასახლებული პლანეტა, მეორე—კაცობრიობა პლანეტასთან ერთად დაიღუპება. როგორც არ უნდა მოისპოს კაცობრიობა, უეჭველია, რომ ის მოისპობა და ვერ მიადღწევს იმ მიზანს, რომლისაკენ მიიღტვოდა: ეს მიზანი მისგან უსაზღვროდ დაშორებულია. მაგრამ მიზანი თუ მიუღწევნილია, არც მისკენ ლტოლვაა საჭირო. მართალია, ზოგიერთი იტყვის, რომ კაცობრიობისათვის თითონ ასეთი მოძრაობაა სასიამოვნო. ტკბილ გრძნობათა წყარო აქ ალბად ილიუზიებშია დამალული, მაგრამ გონიერ ადამიანისთვის ყოველთვის უფრო საინტერესოა ასეთი ილლიუზიების გამომტყავენება, ვინემ თავის დანებება. გამომტყავენების შემდეგ კი ის დაინახავს, რომ საქმე, რომელსაც ის ემსახურება, არც დაწყების ღირსია. აქედან ის პესიმისტური დასკვნა გამოდის, რომ გონიერი სიკვდილი უკეთესია, ვინემ უგზური სიცოცხლე.

¹ იხ. „შინ საქ.“ № 30—31

თუ კაცობრიობისადმი სამსახურში არ შეიძლება გონიერი მიზნის პოვნა, განა არ შეიძლება ის ვიპოვოთ ადამიანის მოქმედებაში, რომელიც პირადი გაუმჯობესობისკენაა მიმართული? ასეთივე ცხოვრების მიზანს ისახავდნენ ხოლმე სტოიკები „თვითკმაყოფილების“ სწავლაში. აწინდელს დროში ამ სწავლის განვითარება სხვა ნაირად შეიძლება. უწინარეს ყოვლისა, ადამიანს აქვს თანდაყოლილი ლტოლვა სათნოებისადმი, და თუ ის, რამდენადაც მისგან შესაძლებელია, აკმაყოფილებს ლტოლვას, იმ შემთხვევაში მის შესახებ ამბობენ, რომ მან თვისი დანიშნულება აღასრულა. ვინ იცის, შეიძლება ამ ქვეყნის უცნობ გამჩენს სწორედ ის უნდოდეს, რომ ინდივიდუუმები მათში თანდაყოლილ სულის მოთხოვნილებას ემსახურებოდნენ. შეიძლება ეს გაუგებარ მაღალ მიზნისთვისაა საჭირო? ამ შემთხვევაში ადამიანს, რომელმაც თვისი ვალდებულება აღასრულა, შეუძლია მოკვდეს ტკბილი შეგნებით, რომ მისმა ცხოვრებამ გონიერად განვლო. რასაკვირველია, წინააღმდეგ საზოგადო აზრისა, მას ფიქრადაც არ მოუეა, რომ მან რაღაცა ჯილდო დაიმსახურა, რომელიც მას ვიდაცამ უნდა მიავგოს. საქმეთა მიხედვით ჯილდოს მარტო ფარისევლები ხომ არ ღებულობენ, მას (ჯილდოს) კეთილის მყოფელი ადამიანებიც ღებულობენ.

ყოველივე მოვალეობის თავისუფლად აღსრულება ბედნიერების ტკბილ გრძნობას იწვევს, რომელიც უსაზღვროს ნების აღსრულების შედეგია. ყოველი ჰემარიტ-სათნო საქმე თვით ადამიანის სულის მდგომარეობაში ჰემარიტ მეფურ ჯილდოს ღებულობს. ფილოსოფოსი კანტი და აგრეთვე სხვანიც ამ აზრს არ ეთანხმებიან ისინი ამბობენ, რომ კეთილ ადამიანთა ხშირად დაუმსახურებელი უბედურება შეემთხვევათო. მაგრამ ასეთი აზრი შემდგომ კარგად დაფიქრებისა, უგნურად გვეჩვენება, რომელიც ზნეობრივ ხასიათს მოკლებულია. აზრი „დაუმსახურებელი უბედურება თავის თავად ხომ *contradictio in adiecto*-ს წარმოადგენს. ყოველი უბედურება არსებითად ცხოვ-

რების სისრულის განსაზღვრა, დაკარგვა და წართმევაა რაღაცისა იმ სიკეთის ჯამისაგან, რომელიც ჩვენ გვაქვს. მაგრამ ყოველივე სიკეთე ჩვენ ხომ ტყვილა მივიღეთ. სიკეთე, რომელიც ჩვენ ღროებით გვაქვს მოცემული, შემდგომ თანდათან ანუ უცებ ვკარგავთ. განა უზენოება არ იქნება მისი მტკიცება, რომ ეს უსამართლობაა? უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიკეთე შემდგომ სხვებსაც მიეცემათ. ამბობენ, რომ ქვეყანაზე სიკეთე თანასწორად არაა განაწილებული და ამიტომ სიმართლის მყოფობის რწმენა გვაძულვებს ჩვენ ვიფიქროთ, რომ თანასწორობა მხოლოდ იმ ქვეყანას იქნება. თუ მე ძალიან ბევრი მივიღე და კიდევაც შევიგენი, რომ არ შემიძლია მისი გადახდა, მაშ როგორ შემიძლია ვსთქვა, რომ მეორემ უფრო მეტი მიიღო და ამიტომ მეც ახალი სიკეთე უნდა მომეგოს. არავის არ აქვს ნება სთქვას ასე, არა თუ თავის თავზე, არამედ სხვაზედაც. ამასთან, განა შეიძლება თვით სიკეთეთა შედარება? ვინ მიიღო ის მეტი? ნერონმა, რომელიც ყოველივე სიტკბოებით გაძლება, თუ ქრისტიან მოწამემ, რომელმაც აღტაცების ბევრი ბედნიერი საათები განიცადა და ბოლოს მხეცებისაგან დაგლეჯილ იქმნა? ჩვენ ხშირად გვესმის, რომ იმ ადამიანს, რომელმაც ბევრი მოყვასი დაჰკარგა, უბედურს ეძახიან ვსთქვათ, რომ ასეთი უბედური იყო, მაგალ., იობი. მაგრამ ის ბედნიერება, რომლითაც ის წინედ კეთილ ადამიანთა დამოკიდებულების დროს სარგებლობდა, ხომ ტყვილა მიცემული ჰქონდა და როგორც სხვა სიკეთე, ადრე თუ გვიან, წაერთმეოდა. ამიტომ მისი თქმა, რომ ის დაუმსახურებლად წვალობს, ღვთის გმობა იქნება. უსამართლო ღმერთი არ არის, რომელიც ადამიანს სიკეთეს ანიჭებს, არამედ ადამიანია, რომელიც ჰფიქრობს, რომ სიკეთე მას სამუდამოდ მონიჭებული ექნება. გვითითებენ აგრეთვე ფიზიკურ ტკივილზე, რომლითაც ხშირად უღანაშაულო ადამიანი იტანჯებოდა. ფიზიკური ტკივილი გარეგანი ნიშანია ადგილობრივ ანუ მთელი ორგანიზმის მოშლილობისა. ორგანიზმის მოშლილობა თავის თავად სიკვდილის მო-

ახლოვებას მოასწავებს და როგორც ზევითა ვსთქვით ადამიანს არ აქვს ნება უკმაყოფილო იყოს ცხოვრების წარმევისთვის, ვინაიდან ის მან ტყვილა მიიღო.

ამბობენ, რომ ფიზიკური ტკივილი თავის თავად დამწველ ტანჯვას წარმოადგენსო. საინტერესოა ვიკითხოთ: რისთვის თმენულობს ადამიანი ამ ტანჯვას? ან მისთვის, რომ ბედნიერება და სიკეთე, სიცოცხლის გრძნებისაგან გამოწვეული, ტანჯვის მაღლა სდგას, ანუ კი მისთვის, რომ ტანჯული სუბიექტი ჰფიქრობს, რომ ეს ტანჯვა დროებითია და მისს შემდეგ ხელ-ახლა კეთილ-განწყობილი ცხოვრება დაიწყება. საზოგადოდ ცხოვრებაში ტკბილ გრძნებათა ჯამი მეტია. თუ სხვანი წინააღმდეგს ამტკიცებენ, ეს მიტომ, რომ სასიამოვნო გრძნებას მხოლოდ მაშინ აფასებენ, როცა ის ნამდვილად არაა. წაართვით ხალხს რწმენა სულის უკვდავებაზე და დააკვირდით, იმატებს თუ არა ქვეყანაზე თვით-მკვლელობის რიცხვი! ძნელია წინედ ამისი თქმა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეიძლება მისი მტკიცება, რომ თვითმკვლელობა შესაძენვეად არ იმატებს. თუ ეს ასეა, მაშასადამე, ადამიანისთვის ცხოვრება სიკეთეა და არა ბოროტება. ამნაირად, ადამიანისაგან უკვდავების მოთხოვნილება თავის თავად სიკეთის გაგრძელების მოთხოვნილებას წარმოადგენს და არა განკვირ ტანჯვათათვის მისაგებს.

უნდა გამოვტყდე, რომ მე არასოდეს არ მიმხედარვარ იმ ფილოსოფოსთა აზრს, რომელიც სილლოგიზმების საშუალებით დასკვნიდნენ, რომ ღმერთმა ადამიანს უკვდავება უნდა მიანიჭოსო, მაგრამ მე ყოველთვის მესმოდა ის გულუბრყვილო რწმენა, რომ ღმერთი, როგორც სახიერი, ადამიანს უკვდავებას მიანიჭებს. ნორმალურად განვითარებულ ადამიანს, სხვათა შორის, ორი თვისება ახასიათებს: პირველად, მას ჰსურს გონიერად განვითარდეს, შემდგომ მიიღტვის მკიდრო ერთობისაკენ, როგორც უსაზღვროსთან, ისე მისს მზგავს (ადამიანის) არსებასთან. ადამიანს ამ ქვეყნად არ შეუძლია სრული ცოდნა შეიძინოს, რომელიც მისთვის სასურველია და რომლის საშუალებით შეიძლე-

ბოლა ბევრ იქვების და წინააღმდეგ აზრთა ახსნა, არც სიყვარულის სრულ ერთობის, რომლის იდეალი მას ბუნდოვნად წარმოუდგება ხოლმე, მაგრამ მისი სულის ყოველივე ლტოლვის მაინც ის აიმედოვნებს, რომ ეს იდეალი მიღწეულ და აღსრულებულ იქნება. ეს იმედი საყოველთაო წაურთმეველი სულის მოთხოვნილებაა, რომლის გულისთვის შეგნებულად თუ შეუგნებლად კაცობრიობა ქვეყანაზე ყოველივე კარგს აკეთებს. უეჭველია, ეს იმედი ადამიანის ბუნებას იმ ძალამ მიანიჭა, რომელიც სხვა სულიერ ძალთა მომნიჭებელია და რომელიც მას არ მოატყუილებს. აქედან ჩვენი იმედი სულის უკვდავების შესახებ რწმენად იქცევა, რომ ის ჩვენ უსათუოდ მოგველის.

ზოგიერთი ცდილობენ ამ რწმენის შერყევას. მათი აზრების განხილვით ჩვენ დავასრულებთ მსჯელობას. სწამთრა ადამიანის ბუნების კანონად სიყვარული თავის მზგავს არსებასთან და აგრეთვე მათთან შეერთება, ამბობენ, რომ ეს ლტოლვა სრულ დაკმაყოფილებას სიკვდილში ჰპოვებსო. სიყვარულში ადამიანი უარს ჰყოფს თავის ინდივიდუალობას, სიკვდილიში კი ეს უარის ყოფა სისრულით ჰხდება. მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არაა. მახლობელთა მიმართ სიყვარულში სახარების სიტყვით, ადამიანი ჰკარგავს თავის სულს, რომ ხელ-მეორედ იპოვოს, ესე იგი, უარს ჰყოფს თავის ეგოისტურ „მე“-ს, რომ ჰპოვოს თავისი ნამდვილი „მე“, რომელიც ადამიანის პიროვნების იდეალს შეესაბამება. აქ ადამიანი მთელ თავის ბუნებას კი არ ჰყოფს უარს, არამედ მის ცულ მხარეებს. ადამიანი, რომელსაც თვისი მახლობელი უყვარს, უეჭველია, უფრო სრულ ცხოვრებითა სცხოვრობს, ვინემ ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ თვის დაცვის ინსტიქტს ემსახურება. მაგრამ ცხოვრების სისრული თვითშემეცნების სისრულეში გამოიხატება. ამნაირად ადამიანს გაუმჯობესობის იდეალურ გზით მოძრაობა პიროვნებას კი არ უკარგავს, არამედ სრულყოფს მას. რამდენადაც უფრო ვითარდება ადამიანი, იმდენად უფრო ვითარდება მასში თვითშემეცნების და

თვითგამორკვევის შეგნება. მოიგონეთ ქრისტიანე მოღვაწენი. ესენი თვისი და სხვათა ინდივიდუალობის თვისებათა უფრო არჩევდნენ, ვინემ ის ადამიანები, რომელნიც თვისი გაუმჯობესობისათვის არ ზრუნავდნენ. ფიზიკურ სისუსტეს ხანდახან შეუძლია დამალოს ეს სულის სიმწიფე, მაგრამ ჩვენ იმ შეხედულებას ვეთანხმებით, რომ სხეული სულის თანამოგზაურია, რომლის შემწეობით ის სხვადასხვა ცოდნას იძენს და ამასთან ის (სული) ბორკილებში ჰყავს. მაგრამ როცა სული სხეულის ბორკილებისაგან განთავისუფლდება, მაშინ ყოველივე ის, რაც სულს ცხოვრებაში მიუღია, შეიქნება მის სრულ და სამუდამო საკუთრებად, მის სრულ მფლობელობაში შედის და თვის ძალთა შემწეობით განაგებს, მხოლოდ-ღა თვისი თავისუფალი თვითგამორკვევის ნიჭის მიხედვით.

ცხოვრების სისრულეს სული მომავალ ქვეყანაში მიაღწევს. იქ ის იმ მიზანს მიაღწევს რომელიც ამ ქვეყანას მიუღწეველია. ამ თეორიას დავით შტრაუსი არ ეთანხმება. თუ ადამიანის სულს დაუსრულებელ პროგრესისაკენ თანდაყოლილი ლტოლვა აქვს, მაშ მომავალ ცხოვრებაში ის ვერასოდეს ვერ მიაღწევს ამ მიზანს, რომელისკენაც ეს დაუსრულებელი პროგრესია მიმართული. აზრი „დაუსრულებელი პროგრესი“ თავის თავად ხომ პროგრესის უარის ყოფას შეიცავს. თუ სული დაუსაბამოში მოძრაობს, სულ ერთია, სადაც არ შესწყვეტს მოძრაობას. თუ მრუდე ხაზის—ამბობს შტრაუსი—რომელიც დაუსაბამოში გაჭიმულია, მათლად დახატვა არ შეიძლება, მაშ სულერთია, რომელ წერტილზეც არ შესწყდება ხატვა: საჭიროა მხოლოდ ფორმულა, რომლითაც ხაზი აიგება ხოლმე. აქედან სულის შესახებ შტრაუსი შემდეგს დაასკვნის: ზნეობის კანონების ნამდვილად აღსრულება კი არ არის საჭირო, არამედ მათი აღვიარება. ამისვე ამტკიცებს ის ადამიანის სხვა ნიჭთა და ლტოლვითა შესახებ. ასე, მაგალ, ინტელექტუალურ ნიჭის შესახებ ის ამბობს, რომ საჭირო ის კი არაა, რომ ადამიანმა ყველაფერი გაიგოს, არამედ ყოველივეს არსი და პრინციპი. *Non multa, sed*

multum, ასეთი მსჯელობა შტრაუსისა, ალბად, ძლიერ წინააღმდეგია იმ სწავლისა, რომელსაც სულის მომავალი ცხოვრება ქვეყნიურ ცხოვრების გაგრძელებად მიიჩნია. მაგრამ ამ სწავლას არ შეუძლია შეარყიოს რწმენა იმ ადამიანთა, რომელნიც „ახალთა ცათა და ახალსა ქვეყანასა“ მოელიან. ადამიანი ამ ქვეყნად სივრცეში და დროში სცხოვრებს, მაგრამ სხვა და სხვა გამოკვლევათა საშუალებით ის ამ ქვეყნად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სივრცე და დრო თავის თავად ისეთ რეალობას კი არ წარმოადგენს, როგორც ეს მას წარმოუდგება ხოლმე, არამედ სხვა რეალობის გამოხატულებაა, რომელიც ეხლანდელ დროში მისთვის მიუღწეველია. მაგრამ ყოველთვის მიუღწეველი იქნება? ამაზე ჩვენ წინააღმდეგს ვიტყვი. სული უსივრცოა, —მაგრამ ქვეყანაზე ის სივრცის ბორკილებითაა დაბმული. სხეულის სიკვდილის შემდეგ მისთვის სივრცის გარეშე ცხოვრება დაიწყება. ჩვენი აზრით სულისთვის დადგება ისეთი დრო, როცა ის დროის პირობათა გარეშე იქნება. მომენტების თანდათანობა არ იქნება და ამიტომ არც შეიძლება ვსთქვათ რაიმე დასასრულ და დაუსრულებელ პროგრესზე. სულის განვითარების პროცესი დასრულდება სულის მიერ ჰემსარიტების, კეთილის და მშვენიერიობისადმი ლტოლვა თვის სრულ კმაყოფილებას მიიღებს და მისთვის ნეტარი საუკუნო დადგება. როგორი ხასიათი და როგორი სახე ექნება საუკუნო ცხოვრებას ამის წარმოდგენა შეუძლებელია. „არღა გამოჩინებულ არს რაი ყოფად ვართ“.

სულის განვითარება აუცილებელ კანონის გზით რო ხდებოდეს, მაშინ ნეტარი საუკუნო, რასაკვირველია, ბოლოს ყველას ზვედრი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ ჰხდება. ადამიანს მინიჭებული აქვს თავისუფლება ესე იგი თვითგამორკვევის ნიჭი, და ამიტომ შეიძლება, რომ სულის განვითარება სხვადასხვა გზით მოხდეს. თუ სული ბოროტი გზით წავა, არავის არ ძალუძს მობარუნოს, მისი ნების წინააღმდეგ, კეთილი გზისაკენ. ღმერთს ყოველად სახიერს ადამიანი ავტომატად კი არ შეუქმნია,

არამედ თავისუფალ ქმნილებად და ამიტომ ღვთის სიმართლედ აღამიანის თავისუფლებას არასოდეს არ დაატანს ძალას. იმ აღამიანთა, რომელნიც მოისურვებენ სრულ-ყოფას, გაკეთილშობილებას, ღვთის მოწყალება ყოველთვის წარმატებას მიანიჭებს და ბოლოს კი გაუღებს ბჭეს ნეტარ საუკუნოისას.

ფი—პე სი—ძე

ყოველად სამღვდელთა გორის ეპისკოპოსის ანტონის მოკზაურობა ხევსურეთიდან ერწო-თიანეთში.

ერწო-თიანეთის მხარეს არქიელის ნახევარ მცხოვრებნი თითქმის ჩვეულენი არ არიან. ზოგ სოფლებში ორმოცი წლის წინეთ უნახავთ არქიელი, მომეტებულ ნაწილს კი გაგონით გაუგონია და არ იციან კი არქიელი როგორია. ხევსურეთში ზომ, მგონი, პირველი იყო ეპისკოპოსი ანტონის მიბძანება. ყოველად სამღვდელთა ანტონმა გადმოიარა ძნელი სავალი ხევსურეთის მთები და რვა ივლისს სოფელ ყვარაში მდ. იორის ხეობაზე გადმოძანდა. აქ მათ მეუფებას მიეგება ფშავ-ხევსურეთის პირველი ოლქის საბლადოჩინოს ბლადოჩინი მღვდელი გიორგი ინაევი და ერწო-თიანეთის ბოქაული ბ-ნი ვაშაძე. ამ სოფელში საღამოთი მობძანდა და ღამე გაათია ერთი ფშავლის სახლში. მეორე დღეს, ცხრას, მათმა მეუფებამ დაათვარიელა თამარ დედოფლის დროის ძველი (დროის) ტაძრის შენობები და წამოძანდა სოფ. არტანისაკენ. სანამ არტანში მიბძანდებოდა, ინახულა თამარ დედოფლის და ლაშარის ჯვრის ნიშები, ცნობილი ხევის-ბერი დარჩიას რჩევით აშენებულნი. აქ მათი მეუფება ბევრი ესაუბრა მოსულ შეკრებილ მლოცავებს, ხევსურებს და ფშავლებს. მათი მეუფება თავის საუბარში უმეტეს ყურადღებას აქცევდა იმას, რომ მათი ხატობა (ფშავ-ხევსურეთის) და ლოცვა უფრო კერძთაყვანისმცემლობაა და არა ღვთის ვედრებაო; და თან უხსნიდა ჭეშმარიტ სარწმუნოების ლოცვა-ვედრებას ღვთისადმი, და ხატის თაყვანისცემას.

აქ მოითხოვა მათმა მეუფებამ ხევის-ბერი დარჩია. დარჩია გამოცხადდა ნალოთები და სახე დასივებული. დარჩიას დანახვაზე მათი მეუფება დიდათ გულნატკენი დარჩა მაზედ, რომ ხალხი ისე დაბეჩავებული რათ არი, რომ ამისთანა დაცემულ-გაფუჭებულ კაცს სდევნ და მის რჩევას იგონებენო. დარჩიას მათი მეუფება ბევრი ესაუბრა. ამხილა თვისი შეცდომა და აყვედრა: ხალხს რომ ატყუებ და ღუბავ, ამაზე შენ წინაშე მღვთისა პასუხის-მგებელი იქმნებიო. თანაც მოსთხოვა საბუთების ქალაღდები იმის, რაც რომ ან ზვრების, ან სხვისი, თამარ დედოფლის სახელზე რაცა აქვთ. დარჩიაზე ისეთი გავლენა იქონია მათი მეუფების შწყემსმთავრულმა მოძღვრებამ, რომ დარჩია ყველაფერზე დასთანხმდა და მოახსენა: ყველა საბუთების ქალაღდებს თქვენ წარმოგიდგენთო. აქ სხვა ხალხთან და ხევის-ბერ დარჩიასთან მათმა მეუფებამ სურათი გადაიღო. აქიდან წაბძანდა ყოვლადსამღვდელთა არტანში. აქაც ეკლესია დაათვალიერა და ხალხს ესაუბრა. არტანიდან მათი მეუფება მიბძანდა ახალ სოფელში, სადაც ადგილობრივი მღვდელი ნიკოლოვოზ ბაკურაძე შეეგება. გალობდენ თვით მღვდლის ქალები, რაზედაც მათი მეუფება ნასამოვნები დარჩა, ესაუბრა ხალხს და თიანეთისკენ გაემართა.

თიანეთში ჩვეულებრივი შესახვედრი პარაკლისის შემდეგ მათი მეუფება სადილათ მიიწვია ამავე ეკლესიის მღვდელმა გრიგოლ კინკველაძემ, საცა იმყოფებოდენ მზრის უფროსი, მომრიგებელ-შეამავლები და ბოქაული. სადილის შემდეგ მათი მეუფება გაემართა სოფ. საყარაულოსკენ. გზაზე ძრიელი წვიმა მოუვიდათ, მაგრამ მათი მეუფება წვიმამ ვერ შეაფერხა და მიუხედავად იმისა, რომ ცხრა ღღე გაბშით ცხენით ემოგზაურა, არაფერი დაღლილობა არ ეტყობოდა ისე, საათის რვის ნახევარი იყო, რომ მიბძანდა საყარაულოში, სადაც მიეგებნენ ადგილობრივი ეკლესიის კრებული და შეკრებული ხალხი. სამრევლოს მღვდელმა ნესტორ ბაკურაძემ, შესახვედრი პარაკლისი გადაიხადა, რომელზედაც გალობდენ

თავათ მღვდლის შვილები, რაზედაც მათი მეუფება ნასიამოვნები დარჩა. პარაკლისის შემდეგ მათმა მეუფებამ გრძობით სავსე მოძღვრებით მიმართა ხალხს, რომლის შემდეგ, შკოლის შევირდებს და სხვათ ლოცვნები დაურიგა. შემდეგ მათი მეუფება ადგილობრივ მღვდელმა ნესტორ ბაკურაძემ ჩაიხე მიიწვია და ჩის შემდეგ სთხოვა კეთილ ენებნა და ღამე მის სახლში გაეთია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტალახიანი გზები იყო და ბნელოდა ღამე, მაინც წაბძანდა სოფ. სვიმონიანთ ხევში. სვიმონიანთ ხევში საათის ათი იყო, რომ მიბძანდა. მათმა მეუფებამ ეკლესია ინახულა და ღამე გაათია სამრევლოს მღვდლის გრიგოლ სონდულაშვილის სახლში.

მეორე დღეს მათი მეუფება გაემგზავრა ამატნის ხევის სოფლისკენ. ამატნის ხევის ეკლესიაში მათს მეუფებას შეეგებნენ, როგორც ადგილობრივი მღვდელი, ისე დანარჩენნი ერწოს სოფლების სამრევლოს მღვდლები შემოსილები. აქაც პარაკლისის შემდეგ გრძობით სავსე მოძღვრებით მიმართა ხალხს, მადლობა გამოუცხადა სამღვდლოებს, მერე სამღვდლოებსათან ერთად სურათი გადაიღო, გამოეთხოვა, ყველა დალოცა და გაემართა ცხვარიკამიისკენ. ცხვარიკამიამდე მათი მეუფება გააცილეს ბლალოჩინმა გიორგი ინაევმა, მისმა თანაშემწემ მღ. გრიგოლ სონდულაშვილმა და ერწო-თიანეთის ბოქაულმა ბა-ნმა ვაშაძემ სტრაჟნიკებით. ამათ მათმა მეუფებამ ლოცვა-კურთხევა გადასცა და დიდი მადლობა გამოუცხადა. ცხვარიკამიაში შეეგებნენ ღუშეთის ბლალოჩინი მ. ტყემალაძე ადგილობრივი კრებულთ. მათმა მეუფებამ ეკლესია დაათვა-რიელა და გაემგზავრა თბილისისაკენ.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მამა ბლალოჩინმა ტყემალაძემ თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა; იმოდენა ვერ მოახერხა, რომ მათი მეუფება გლდანამდინ მაინც გაეცილებინა ან თავათ და ან გაეყოლებინა ვინმე...

უნდა ვსთქვათ, რომ მათი მეუფება ანტონი დიდი გულმტკივნეულობით იგონებდა

ხევსურეთის არა ქვემარტ ქრისტიანულ ხატობებს და მათ ცხოვრებას. მომეტებულათ სწუხდა იმაზე, რომ ხევსურებს აქვთ ჩვეულებათ, რომ ფეხ-მძიმე დედაკაცს დალოცვების დრო რომ მოუვა, ცალკე გააგდებენ ერთ უბრალო გამოთხრილ ქოხში; მისთვის არც ცეცხლი, არც ბებია, არც სასმელ-საქმელი, შორიდგან თუ შეუგდებენ ლუკმას, არც სხვა ნაირად მიხედვა, და არც ოჯახში შეუშვებენ ორმოც დღემდე. თანაც მათი მეუფება დასძენდა: ხევსურების ასე უკან ჩამორჩომის მიზეზი და დამნაშავე თავათ ჩვენა ვართო. ჯერ არავის ახსოვს, რომ ფშავეხესურეთში ეპისკოპოსი ყოფილიყოსო; აი ეხლა პირველი მაგალითი ჩემი მოგზაურობა არისო და სხვა...

საზოგადოთ დიდ მწუხარებას აცხადებდა მათი მეუფება ანტონი, ხევსურეთის ასე უკან ჩამორჩომაზე...

ქართველი ოსეთში.

სამღვდლოთა ცხოვრებიდან.¹⁾

წერ. 4-ზე.

ქველმოქმედება ერთი უდიდესი ქრისტიანული სათნოებათაგანია და ამიტომ ქველმოქმედი ადამიანი, თუ ძლიერ ბნელი მიზანი არა აქვს მის ქველმოქმედებას, დიდათ პატივსაცემი და დასაფასებელია საზოგადოებისაგან. არც არის საჭირო იმის გამოკვლევა-გამოძიება, თუ რა მიზნით ხელმძღვანელობს ქველმოქმედი, როდესაც ის საქვეყნო საქმეს აკეთებს. გამიგონია ხშირათ: ამა და ამ კაცმა კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ მას ამოდრავებდა არა ქრისტიანული გრძობა და საზოგადოების სარგებლობა, არამედ თავმოყვარება, ჯილდოების მიღება და სხ. ახირებულია ღმერთმანი! ხშირათ ისეთი პირები, რომლებსაც საზოგადო საქმისათვის ფულებს კი არა უბრალო თანაგრძობასაც ვერ გამოამეტებინებთ, ათასნაირ კრიტიკას უშვებიათ სხვისგან ჩადენილ ქველმოქმედებას! მაგალითის ქველმოქმედებისას სასულიერო წოდების პირნი უნდა იძლეოდნენ, მაგრამ ამ წოდებაში იშვიათად თუ ვისმე მოუხვეჭია ქველმოქმედის

¹ იხ. ზინ. საქმ. №№ 2-3, 7 და 20 ამა წლ.

სახელი და ამის მიზეზი კი, ჩემის ფიქრით, ამ წოდების წარმომადგენელთა უმეტესობის უკიდურესი სიღარიბე უნდა იყოს. რა ქველმოქმედება შეუძლია, მაგალითად, სთფლის მღვდელს, რომელიც მთელ თავის მცირე შემოსავალს წვრილი შვილების აღზრდას ანდომებს და თითონ კი ნახევრად მშიერი, მათხოვარით ჩამოკონკილი დადის? რის გაკეთება უნდა მოვთხოვოთ ქველმოქმედების სარბიელზე იმ მღვდელს, რომელსაც უსაყვარლესი შვილი ცეცხლში დაეწვა და რომელიც მისამძიმრების დროს ასე ეუბნება თავის თანამძამე მღვდელს: „გმადლობ თანაგრძნობისათვის, მამაო და ძმაო. არაფერი გეტყინოსთ, თქვენ ჩემი გოგონა არაფერს დაგაკლდებდათ; ჩემი გული სამუდამოთ დააწყულულა იმისმა ასე უეცრათ და საცოდავათ დაღუპვამ, მაგრამ დიდათ ვნუგეშობ იმ მოსაზრებით, რომ წვრილი შვილებით დატვირთულს მაინც არ შემეძლო რიგიანათ მისი მოვლა-პატრონობა. ვაი მისი მშობლების დამწვარ გულს, თორემ იმას კიდევ ეშველა, რადგან სამუდამოთ აცილდა ცხოვრებაში ათასნაირ გაჭირვებას“. ამ სიტყვების შემდეგ განათლებული მოძღვრის თვალებიდან ცრემლთა ნაკადული მოსკდა და მისი ადრევებული თანამძამეც დიდხანს გაშტერებული შეჩერებოდა გულდათუთქულ მამას. ასეთი მღვდლები ჩვენში ძლიერ ბევრი არიან და მათ არც არაფერი ქველმოქმედება შეუძლიათ. ასევე არ ითქმის უშვილო მღვდლებზე. მათ ვალი აძევსთ, რაც გინდა მცირე საშუალების პატრონი იყონ, მაინც თავისი საშუალების ნაწილი მოახმარონ სულის მაცხოვრებელ საქმეებს: განამშვენონ მათდამი რწმუნებულის ტაძრები, დაეხმარონ ღარიბ თანამშემს შვილების აღზრდაში, თავისი წვლილის გამოღებით წაახალისონ ხალხი შკოლების გახსნაში, გამოსცენ ხოლმე თავისი საშუალებით ხალხში მუქთათ გასაერცვლებლათ სასულიერო და სახორციელო შინაარსის სასარგებლო წიგნაკები და სხ. ასეთი მოძღვრებისადმი პატივისცემა ერთიორად გაძლიერდება და მათი სახელიც უკვდავი შეიქმნება მადლიერ საზოგადოების ხსოვნაში. მაგრამ ქველმოქმედების სარბიელზე ძლიერ მცი-

რე ნაწილი გამოდის იმ მღვდლებისაც კი, რომლებსაც შეძლება და ოჯახური მდგომარეობა ხელს უწყობს. ყველა უსაშუალობას უჩივის, მაგრამ უსაშუალობისაგან უფრო ბრალეული კუქია, რომელიც, თუ გონიერი პატრონი არ ყავს, ერთი კაცის კი არა, ათასი კაცის ნაშოვარ-ნაპოვარსაც ადვილათ შთანთქავს. აი სწორეთ ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ იმერეთის ეპარქიაში მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შესანიშნავი ქველმოქმედი მარტო სულმნათი გაბრიელი ბრძანდებოდა. რაიცა შეეხება უშვილოსა და ჩამოდენიმედ საშუალების მექონე მღვდლებს, მათში ქველმოქმედებით პირველი ადგილი უნდა ეკავოს პატივცემულ დეკანოზს მ. რომანოზ დეკანოსიძეს, რომელმაც ს. ხარაგოულში თვისის საკუთარი ხარჯით დაარსა ორკლასიანი სკოლა მშვენიერი ეკლესიით. რადგან მ. რომანოზის გამჭრიახ გონებას ეხამუშებოდა ამ სკოლაში 15—16 წლის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლა, ამიტომ მან გადასწყვიტა თვისი უკანასკნელი საშუალებით ცალკე ორკლასიანი საქალებო სასწავლებლის დაარსება თვისი გარდაცვალებული ერთადერთი ასულის მამიკას სახელზე. ამის შესახებ ნებართვა-ლოცვა-კურთხევა უკვე მიიღო სასულიერო მთავრობისაგან მ. დეკანოსიძემ და მალე სიტყვას საქმედ აქცევს.

თუმ. დეკ. რომანოზის მოღვაწეობა საისტორიო და საშვილიშვილოთ სახსოვარია სოფ. ხარაგოულის მკვიდრთაგან, ნაკლები ხსოვნისა და პატივისცემის ღირსი არც მისი მეუღლე ქნი დედა ანუსია ბრძანდება, რომელიც სულითა და გულით თანაუგრძნობს და ეხმარება თავის მეუღლეს საზოგადო საქმეების გაკეთებაში. ის კმაყოფილია სულ უბრალო ცხოვრებით და არ თაკილობს არავითარ შრომას. სწორეთ შრომითა და მომჭირნეობით შეიძინა ამ პატივცემულმა ცოლქმარმა ქონება და მისი უმეტესი ნაწილი საზოგადო საქმეს მოახმარა. მამა რომანოზი უმონაწილო არ ყოფილა არცერთ საზოგადო საქმეში, რაც კი დღემდის ხარაგოულში გაკეთებულა. სხვებთან ერთად მისი მეცადინეობის ნაყოფია დაარსება ხარაგოულში

სასოფლო სამკურნალოსი, ფოჩტის კანტორისა, სამკითხველოსი, წვრილი კრედიტის ამხანაგობისა და მომრიგებელი მოსამართლის კამერისა. ერთი სიტყვით, დიდად საქები და სამაგალითოა მ. რომანოზის მოღვაწეობა; მან თავის ქველმოქმედებით უკვდავყო თავისი სახელი: მართალია ყველა უშვილო მღვდელს არც საშუალება ექმნება და არც გამჭრიახობა მ. დეკანოსიძესავეთ მოიქცეს, მაგრამ დიდი სირცხვილი კია უშვილო მღვდლისათვის საფლავში ისე ჩავიდეს, რომ თავის მოსაგონებლათ საზოგადოებას არაფერი დაუტოვოს, საზოგადო საქმეში თავისი წვლილი არ შეიტანოს. იცოცხლა, ჭამა, სვა, დრო ატარა და მოკვდაო — მარტო ამის თქმა კი არ კმარა. ეს ხომ ლუარსაბ თათქარძისთანაებზეც შეიძლება ითქვას. საჭიროა ყველა გაბედულათ ამბობდეს: სიცოცხლე შრომაში და მოვალეობის მტკიცეთ შესრულებაში გაატარა, ყველას დახმარების ხელს უწყვიდა, ზომიერ ცხოვრებას ეწეოდა და თავისი ნაშრომარ-ნაპოვარის უმეტესი ნაწილი საზოგადო საქმეებზე დახარჯა, რითაც აქ სახელი მოიპოვა და იმ სოფელს ცხოვრება არ აცილდებოა.

ერთი სოფლის მღვდელთაგანი

ნასწავლი მღვდლების ღტოლვა.

მღვდელმთავარი, რაც თუ გინდა განათლებული და სარწმუნოებით, აღესილი იყოს, მას მაინც არ შეუძლია წესისამებრ დამწყსოს თავის ეპარქიის სულიერი შეიღონი, უკეთუ მღვდლებმა არ აღმოუჩინეს მას დახმარება. მღვდელმთავარს არ აქვს დრო ყოველთვის დაათვალიეროს თავის ეპარქია, გაეცნოს მიყრუებულ-მივარდნილ სოფლებებს და გარდასცეს მათ თავისი დარიცხვა. ამ შემთხვევაში მღვდელმთავარის მარჯვენა ხელი უნდა იყოს მღვდელი, რომელიც სულითა და გულით უნდა სცდილობდეს მღვდელმთავარის მაგიერობა თვითონ

გასწიოს სოფელში. ყოველი მღვდელი, უმეტესად კი ნასწავლი, უნდა ცდილობდეს უბრალო ხალხს, მივარდნილ სოფლებებს, დაუახლოვდეს შეაგნების ქრისტეს სწავლა და ქვეშაირიტ გზაზე დააყენოს, რაც პირველი მოვალეობაა მღვდლისა. ჩვენ, მღვდლებს, თუ გვინდა, რომ ქართველი ხალხი არ გადავარდეს უნდა ამოვუდგეთ მას გვარდში, არ უნდა უარყოთ მივარდნილი სოფლები, რომ სინათლე შევიტანოთ იქ. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ბევრ მღვდელს, უმეტეს ნაწილად ნასწავლებს, ამისთანა სურვილი არ აქვს. იმათი ღტოლვა სულ სხვაა. ისინი ელტვიან მღვდელობას კი არა, არამედ ქალაქ ადგილას ცხოვრებას, კარგი სახლებისა და ბევრი ფულების შეძენას, ჯილდოებში გამოქიმვას და უპირველესი მოვალეობის, რისთვისაც დაყენებულია დავიწყებას. ნასწავლი და ქვეშაირიტი მღვდელი სოფელს არ უნდა გაუბროდეს, არ უნდა თხოვილობდეს აღმატებას და არც ქალაქ ადგილას უნდა ეტანებოდეს. მას პირველ წერტილზე დაყენებული უნდა ქონდეს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება ხალხში და განათლებით უნდა აღმოფხვრას ცუდი ზნეჩვეულობა. ის მღვდლები, რომლებიც უბრალო ხალხს გაურბიან და თბილ ადგილებსაკენ მიეშურებიან, ამტკიცებენ იმას, რომ ისინი არიან სასყიდლით დადგინებული, გვიხატავენ თავის უგულობას მღვდლის მოვალეობისადმი და დიდათ ამცირებენ მთელ სამღვდლოებას. ამისთანა მღვდლები არასოდეს მადრიელი არ არიან თავის სამსახურისა და არც მღვდლობას აფასებენ; მათ უნდათ მხოლოდ ქალაქ ადგილას იცხოვრონ და სხვა არაფერი. გამოჩნდება თუ არა ქალაქ ადგილას მღვდლის ადგილი, ეპისკოპოსს მოსვენება აღარ აქვს, თხოვნას თხოვნაზე უგზავნიან, აუწყებენ თავის დიდებას და სცდილობენ რამენაირად ქალაქში მოექცნენ.

თუ მღვდელი ნამდვილი მღვდელია და თავის მოვალეობას ყველაფერზე წინ აყენებს, მისთვის სოფელი და ქალაქი სულ ერთი უნდა იყოს, რადგან იქაც და აქაც ყველგან ღვთის გაჩენილი და ქრისტეს სისხლათ გამოსყიდული

ადამიანი სცხოვრობს, რომელსაც მან უნდა უწინამძღვროს, სასუფეველის გზა უჩვენოს.

მლ. ნესტორ ლევიძე.

ქიდევ ჩვენ ხალხურ კოეზიხა.¹⁾

(ხასუხათ ჩევის გეროსტრატებს).

ქართველები დიდ უბედობას განვიტოთ. თანამედროვე ცხოვრების პირობები დედინაცვლობას გვიწევს—ჩვენ წმინდა-წმინდათაში შხამიან ხელებს აფათურებს და მისს ჩაკვლას ლამობს.

მაგრამ ჩვენც ამ პირობების დაჩაგრული გერებიც, იმის ნაცვლათ, რომ ერთმანეთი ვანუგეშოთ და საერთო მძიმე კაპანის წვევა გავიადვილოთ, ხშირად ხან ვმლიქნელობთ; ტყავს ვიცვლით, ვმელაკუდობთ, ხან ერთიმეორეს წინ ფეხს ვუდგამთ, ჩვენი საკუთარი საპირადო საქმეების გასაჩარხავად სხვისი ხელით ეკალს ვკრეფთ, ხანაც, რაც უფრო საშინელებაა,—შეერთებული ძალით ჩვენსავე დასაკლავ დანას ვჩხრკეთ, ჩვენ წმინდა-წმინდათას ჩვენვე ვრყენით, ჩვენსავე ღმერთს ვაგინებთ და მამაპაპათაგან გაჩაღებულ ცეცხლს ჩვენივე ხელით ვაქრობთ, თუ განგებ არ ვშეგებით ამას, გულხელდაკრეფილი მაინც ხშირათ შეესტკერით მას, როცა დახელივინებული ქურდბაცოცები, ერის გულის მატლები, ჩვენი სამსხვერპლოდან უკანასკნელ ნაპერწყალს იპარავენ და თავიანთ სამსხვერპლოზე გაჩაღებულს ცეცხლს უმატებენ.

ვინ მოთვლის, რაედენი კერა ავანგრიეთ, რაედენი სამსხვერპლო, ჩვენი სისხლით შედე-

¹⁾ ეს წერილი მამა მელიტონ კელენჯერიძისა და ამის შემდეგი „სახალხო გაზეთში“ დაისტამბა მეტათ შეკვეცილ-შამოკვეცილი და თითქმის დამაზინებელი. რადგან წერილი მეტისმეტ საყურადღებო საგანს შეეხება, ამიტომ ჩვენ ვებმტკიცებთ მას სრულიად უცვლელად. ამ წერილების გამო ვახ. „თემში“ პატარა, მაგრამ დიდი უაზრო და უგნური შენიშვნა იყო მოთავსებული, რომლის შესახებ რედაქცია თავის აზრს გამოხატვამს, როცა მამა მელიტონის წერილები დასრულდებოდა და მკითხველი საზოგადოება სავსებით გაეცნობა ავტორის აზრს.

ბილი, გავატანეთ სხვას, ვინ იცის, ვინ, რაედენი თვალ-მარგალიტით, ჩვენი ხატებ-სასწაულებიდან ანაგლუჯებით შევამკეთ სხვისი როსკიების ქოშები, რაედენი უუძვირფასესი მანუსკრიპტით გავამდიდრეთ და გავამშვენეთ უცხოთა მუზეუმები და წიგნთ-საცავები. მიდის ხელიდან ის, რასაც ეწოდება ერის სული, გვირგვინი, სიამაყე, საფუძველი არსებობისა და რაღა გვრჩება ნაცალად? გამოფიტული ლეში და უკულმა პირი მისა, რაც ყოფილა.

გვაქვს მხოლოდ ერთი ხელუხლებელი, დაცული, შეუმწიკლავი, მტრისაგან მიუგნებელი სამსხვერპლო, ერთი ქვაკუთხედი ერის სულიერ არსებობისა—ხალხური ზეპირ-სიტყვიერება, ეროვნული პოეზია, ერის ფილოსოფია, სიბრძნე, სიმღერა, თამაში, ადათი, ზნე-ჩვეულობა, თქმულება და ვაი, რომ ესეც შეუმჩნეველი გვრჩება და თითქმის დავიწყებას ეძლევა!

მართალია, ახლა ის არ ითქმის, რაც ამ ოკდაათი წლის წინედ ითქმოდა, მაგრამ საქმეზე შედარებით უნდა ვილაპარაკოთ და მაშინ, უნდა გავტყდეთ, ჩვენ სხვა ერებზე ძლიერ უკან დავრჩებით ჩამორჩენილი. რა სასწაულები არ ქნეს ამ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში სხვა მუზომელმა ერებმა? ჩვენ? თითქმის არაფერი! თითო-ოროლა ანდაზა-გამოცანის, ან ზღაპრის გამოცემა-შეკრება ზღუაში ცვარად ჩასათვლელია, და გამოფენა რო იქნეს მსოფლიო ეროვნული ზეპირ-სიტყვიერებისა, ჩვენ იქ ვერც კი გამოვჩნდებით, ერთ სკამსაც არვინ დაგვიდგამს!

მერე და რატომ მოგვდის ეს? განა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ობლები ვართ, უთავო ვართ, ცოტანი ვართ, ღარიბნი ვართ? არა! თანაც დაუდევნელი ვართ, თავშეუტკივნელები ვართ, ცოტას ვფიქრობთ მაზე, რაზედაც ყველაზე მეტს უნდა ვფიქრობდეთ, არ გვესმის ეს საქმე, ვერ ავიღეთ ამის ალლო, გონს ვერ მოვსულვართ!

განა საბუთი არა გვაქვს ამისა? ამ 16 წლის იქით რომ ჩვენ ამ საგანს მთელი გამოკვლევა ვუძღვნით და თვალკრემლიანი ვევედრებოდით საზოგადოებას ამ საგნის შეგ-

ნებაზე, წარმოიდგინეთ, ჩვენში უგუნური გეროსტრატებიც კი აღმოჩნდნენ, რომლებიც ამბობდნენ: თავზე გადაგვახალეს ჩვენი ეროვნული კერპი, თვითცნობიერების საყდარი და შიგ მუგუზალი გადაადგეს დასაწვავად. ესეო და რა დროს ზღაპარიაო, რადროს მითოლოგიააო, ეს ხომ ანაქრონიზმიაო, ხალხურმა სიტყვიერებამ თავისი დრო მოჰამა და წიალსა შინა აბრაამისა განისვენაო! თურმე ნუ იტყვი, სისულელე ყოფილა, ის მუშაობა და ის საქმე, ის პოეზია, რასაც მთელი თავისი ღონე და სიცოცხლე შესწირეს აკადემიკოს—პროფესორ-მეცნიერებმა, — შლიაპკინმა, სუმცოვმა, არხანგელსკიმ, ორესტ მილლერმა, პოტენბამ, ულანოვმა, სობოლევსკიმ, ვს. მილლერმა, ა. ვესელოვსკიმ, დაშკევიჩმა, ხალანსკიმ, მაიკოვმა, კოტლიარევსკიმ, პიპინმა, ბუსლაევმა, ტიხონრაგოვმა, სუხომლინოვმა, რიშნიკოვმა, ბეზსონოვმა, ათანასიევმა, დალმა, შეინმა, ვილფერდინგმა, იაკუშინმა, კირეევსკიმ, გრიმებმა და სხვებმა, რომელთა რიცხვი არა არს!

თურმე ნუ იტყვი, არ ჰქონია მნიშვნელობა ეროვნულ სიუჟეტებს, თქმულებებს, ან რათ უნდა იგინი ვისმე, თუ კი „ილიადა“ იქნება, „ფაუსტი“, „შახნამეც“, „გველიქამია“, „კოპალა“, „ვაჰარი კალაშნიკოვი“, „სადკო ვაჰარი“, (რიმსკი-კორსაკოვისა), „სნეგუროჩკა“, (მისიე და ოსტროვსკისა), „საროჩინის გამოფენა“, „ივანე კუპალო“, ტოლსტოის „მგლები“—ისე როგორც, თურმე, მუხა არაა საჭირო და ძირიც გაუხმეს, თუ კი რკო იქნება! ვის რათ უნდა პირველი, როცა უკანასკნელითაც იოლათ გამოდიან! რა საჭიროა ბუღბუღი, თუ მამალი უცოცხლათ ღმერთმა!..

ასე ახტენს თურმე გრძობას—ყნოსვას—ილღოს მუდამ სანებველას—სანაგაოს ჩხრეკა!.. მაგრამ ეს დალოცვილები მაინც რომ არ ეშვებიან მას!..

ვერ გაიგეს და ვერა ჩვენმა გეროსტრატებმა, რომ იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც გათხრილია ხალხსა და ინტელიგენ-

ციას შუა, შესაძლოა მხოლოდ ხალხისავე ნაწარმოებით—მისი პოეზიით—თქმულებით, მღერით, გრძობით, ადათით, ფილოსოფიით—მათი შენახვით, შესწავლით და ხელოვნურ მწერლობასთან და სკოლასთან დაახლოებით. მათ ვერ შეიგნეს, რომ პუშკინი „ზღაპრებით“ და „სლავიანების სიმღერებით“ არის უკვდავი და არა „ვევგენი ონგენით“, ლერმონტოვი, „კალაშნიკოვით“ და არა „პეჩორინით“. გიოტე—„ფაუსტი“, ვაჟა—„გველქამიით“, „ეთერი“, „კოპალათი“, „ბახტრიონით“. ჩვენებური გეროსტრატები რას დააფასებენ ეროვნულ სიუჟეტების რრლს მუსიკაში, სიმფონიაში! რა იციან, თუ რა არის „სადკო ვაჰარი“, „სნეგუროჩკა“ რიმსკი-კორსაკოვისა, ან რაზეა აგებული გლინკას მუსიკის დედა ძარღვი; მათ სიცილადაც არ ეყოფათ, როცა გაიგებენ, რომ ჩვენი ახალგაზრდა კომპოზიტორი „ბაყბაყ დევს და ამირანს“ რომ ატეხს თავს! ხურმის გემოს ყველა სულიერი კი ვერ მიხვდება! თქვენ ბატონებო, რა მოგახსენოთ და ჩვენ კი სიხარულით ცას ხელი მიგვიწვდა, როცა გავიგეთ, რომ ამ ბოლო დროს ქართველი ერის ბუდიდან იწყეს ჩეკა—ახალმა მგონებმა და მომღერლებმა და ხელი მოჰკიდეს ეროვნულ სიუჟეტებს. გვახარებს ის კი არა, რომ ესენი იქნებიან გეტები, გლინკები, კორსაკოვები, არამედ ის, რომ მათ ალღო აიღეს, სუნი იკრეს, კვალში ჩადგენ და რაც გინდა სუსტნი იყვნენ, „თელილ კვალს“ მაინც დაუნარჩუნებენ მომავალ მუშაკებს და მით გაუადვილებენ ეკლიან გზაზე სვლას და ამ გზის სიძნელეს“.

მაგრამ ამ მუშაკთ რა უნდათ, რა სჭირიათ, იციან? მასალის კრეფა, ბეჭდვა, ძიება, მიწოდება, საკვები, საკენკი, რომ ამ საკენკმა მუშაკი მიიტყუოს, მიიჩვიოს, გარეთ არ გააქსოოს და თავი შეაყვაროს. ასეთი საკვებია ხალხის ცხოვრება, ენა, სიმღერა, ზნე-ჩვეულება. სადღაა ეს ცხოვრება, თუ არა ხალხისავე სიტყვიერებაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, მსოფლმხედველობაში, რწმენაში! არსად და არსად სხვაგან!

ყოველი საქმე მასალის შეკრებით იწყება და ჩვენც ამ გზას ვერ ავცდებით. ჩვენ, უმეტესობამ, ეს შავი, მაგრამ მადლიანი, საშვილიშვილო საფუძველის ჩასაყრელი მუშაობა უნდა ვიკისროთ, ხარბათ უნდა დავეწყოთ ამ ეროვნულ მარწყვს და ვკრიფოთ ის, რომ ხალხის სულიერი მხარე დავიცვათ დავკრძალოთ „ეს ობოლი მარგალიტი“, რომ ზედ ახალი თაობა აღეზარდოთ, აღეზარდოთ თვით ერის გულზე, მის—დედის მკერდზე, დედის ნანაზე, კვამლიან ფაცხაში, კერასთან, თონაში, მკაში, ნადურზე, შავლეგზე, ლილეზე, ხასანბეგურზე, ყარანაზე, ხელხვაზე, თამარ ქალზე, ფერხულზე, ჩვენ ცეკვა-ტირილზე, რომ ძირებს შტო არ მოსწყდეს და პირში დედის რძე „დედინაცვლის შრატად არ იქცეს“.

რა ვუყოთ, გეროსტრატებო, რომ თქვენ ეს ნედლი ძირი ერისა, ეს ბუჩქი მწვანე, ეს რძე, ეს ნანა, ეს ლამაზად მოხაზული ეროვნული დაწნული ჩუქურთმა არ მოგწონთ და ამჯობინებთ, უცნაურებო, გადატრუსულ, უსიცოცხლო ნანგრევებს! განა თქვენც კი არა გაქვს რამე საამაყო! როგორ არა! გული ნუ შეგიშინდებთ: ისტორია გეროსტრატებს არ იეიწყებს და თქვენც ხომ მარტო ამისთვის არჩიეთ გეროსტრატობა! მაშ მიზანი მიღწეულია და დასტკბით. ხოლო ნურც ჩვენზე ფიქრობთ, რომ მარტო სატირალი გვექნდეს. რა ვუყოთ, რომ თუნდ დიდებული ტაძარიც, დავიწვათ! მისი შემქნელი ფიდი ხომ ცოცხალია. შეათარეთ თავი თქვენს ნანგრევებს, დამურებო, არც ფრინველნო, არც ოთხფეხნო, არც ორფეხნო! ჩვენ ჩვენი კისკისი ერი და მისი პოეზია—მღერა დავგვიტოვეთ!

დასწყევლოს ღმერთმა, ამ დამურამ სად წაგვიყვანა! საგანს ავცდით. ჰო დიად, იმას მოგახსენებდით, რომ მასალას უნდა კრეფა, ამით შეიძლება, მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს ჩვენ მომავალ ეროვნულ შეცნიერებას, ხელოვნებას მხატვრობას, მუსიკას, სიტყვიერებას.

„ფაუსტის“ ზღაპარმა ევროპაში ბევრს აუ-

შალა საღერღელი და ბევრმა სცადა თვისი ნიჭი, მაგრამ ვერ ჩასწვდნენ მისს ღრმა ფილოსოფიას, მსოფლიო ღაღადს, ბრძოლა-პროტესტის-ცდენის გარდუვალ კანონს, მაგრამ მაინც ნიდაგი დამუშავდა, და ბოლოს აღმოცენდა მსოფლიო ტიტანი გიოტე, მან მაგრა დაბლუჯა ეს დევი—ზღაპარი და შვა დრამატული პოემა „ფაუსტი“, ე. ი. გვირგვინი დაადგა ევროპის პოეზიას—მუსიკას!

რატომ არ შეიძლება, რომ ასევე მოხდეს ჩვენშიც. ჩვენც შეგვიძლია გვექნეს მოლოდინი, რომ „გველიქამიას“ მეორე ვაჟა გამოუჩნდება, რომელიც მას გამოსადენ წვენს გამოადენს და გვირგვინს დაადგამს ქართულ პოეზიას! ან ვინმე ახალი გენიოსი ქართველი პოეტი მიაგნებს ქართულ ზღაპარს: „მიწა თავისას წაიღებს“ და „ფაუსტს“ ლილას წაუხდენს, რადგანაც ჩვენი ზღაპარი ფაუსტისაზე ბევრად უფრო ღრმა და მსოფლიოა! ამას იქმს ერთი ზღაპარი და განა ერთი და ასი გვაქვს ასეთი მარგალიტები, რომ პატრონი უვარგოდეს!

ვიმეორებ, რომ ეროვნული კულტურის წინ სვლა, მისი დაკავშირება ხალხის გულთან, მისი ელფერის დაცვა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლო და სხვით არა. ჯერ მარტო ენა აიღეთ. ერის ენა და პოეზია სინონიმებია: პოეზია ენაა, ენა—პოეზიაა. ასევეა პოეზია და მუსიკა,—ესენიც ტყუბებია. მაგრამ

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდასა,

გვიმოდღვრა გრ- ორბელიანმა.

მაშასადამე ასევე ითქმის ენის ტყუბზეც—პოეზიაზეც, ენაც აქაა, გრძნობაც, აზროვნებაც, მუსიკაც, ტრადიცია, მთელი სულიერი არსებაც ერისა, და მეცნიერება იქნება თუ ხელოვნება ამ ნიადაგს, ამ წყაროს აცილებული, ის ჰაერზე იქნება დაკიდებული და ერის გულიდან მოწყვეტილი.

მღვდელი მ- კელენჯერიძე

შემდგენი იქნება

უცხოეთის მიმოხილვა.

(დასასრული*)

განვითარების უკანასკნელ საფეხურზე სპარსეთის რევოლიუცია დგას. სპარსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც არც რკინის გზებია, არც ფაბრიკები და ზაფხულები, არც ფულის ტრიალია დიდი, სახალხო განათლებაც ხომ ძალიან დაქვეითებულია. რევოლიუციის დასაწყისში ამ სახელმწიფოს სრულებით არ გააჩნდა თანამედროვე არმია, თუ არ ჩავთვლით რუსთა კახაყების ბრიგადას, რომელიც შაჰის მაჰომედალის სასახლეს დარაჯობდა, და არც ბიუროკრატია გააჩნდა, გარდა რამდენიმე ბელგიელ ტამოყნის მოხელეებისა. სახელმწიფოს მართველ წრეების სისუსტით და არმიის უქონლობით აიხსნება რევოლიუციის გამარჯვება იქ. მაგრამ სპარსეთის ნაციონალიზტებმა ეს სისუსტე თავიდან ვერ მოიშორეს. დიდი სიღარიბე სპარსეთის ხალხისა და ის საშინელი ხელის შეშლა, რომელიც ორმა დაინტერესებულმა ევროპის დიდმა სახელმწიფომ მიაყენა სპარსელებს, არ აძლევს გასაქანებელ გზას, რომ ფინანსიური გაჭირვებიდან გამოვიდნენ, რკინის გზების ლიანდაგები გაიყვანონ და არმიისა და ბიუროკრატის რეორგანიზაცია მოახდინონ. ამნაირად ეს მრავალნაირად დატანჯული ქვეყანა, რომელიც უწინ აზიის ქვეყნების ლიტერატურას და პოეზიას მხურვალე მზის სხივებით ათბობდა და ანათებდა, დღეს, რევოლიუციის შემდეგ, ძალიან აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი...

განვითარების ყველაზე უმაღლეს სტადიას ინდოეთის რევოლიუციონური მოძრაობა წარმოადგენს. ინდოეთის ყველაზე უფრო დაწინაურებულს პრაინციებში, საკუთრათ—ბენგალიაში თანამედროვე კაპიტალისტური ხაზოგადობის ყველა ელემენტები უკვე მზათ არის: დიდი ქალაქები, ბამბის ქსოვილების უძლიერესი, უმდიდრესი ინდუსტრია, რომელზედაც ტრიალობს ასი ათასობით მუშა ხალხი, რიცხე-

მრავალი წმინდა ეროვნული, ინდოეთური კაპიტალისტური ბურჟუაზია და ინტელიგენცია, რკინის გზებით ათასნაირად დასერილი არემატენი, ფულის ძლიერი და მდიდარი ტრიალით, წარმოობა, რაიფეიზენოვების კასები, ურიცხვი სახალხო შკოლები დაბად და სოფლად, პრაინციებსა და თემებში წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, დიდათ გავრცელებული მდიდარი პრესა. ქვეყნის მეურნობა, რაც უფრო და უფრო ვითარდება, მით უფრო ახალ მეურნობაზე გადასული ცხოვრება ადვილად და მალეც არღვევს და სპობს ძველ იდეოლოგიას (რალა მნიშვნელობა უნდა ექნეს კასტობას იქ, სადაც უბრალო პარი-ბოგანო ადამიანი შეიძლება კაპიტალისტი გახდეს, ბრამინი კი—დაქირავებულ მუშათ.) და ძლიერის იერიშებით მიჰყავს რევოლიუციონური მოძრაობა.

სპარსეთის და ინდოეთის რევოლიუციას შორის შუა ადგილი უჭირავს ოსმალეთისა და ჩინეთის რევოლიუციებს. ორივე ეს რევოლიუციები ნიადაგს პოულობენ იქაურს მკვიდრთა განათლებულ წრეებში, რომელნიც უფრო რიცხვმრავალია და გავლენიანიც, ვიდრე სპარსეთში. ორივე ამ რევოლიუციას ემორჩილება, განათლებული აფიკრების წყალობით, მთელი იქაური არმია. მაგრამ ამ ორ ქვეყნებში ეკონომიური განვითარება ისეთი გრცელი და ღრმა არ არის, როგორც ინდოეთის პრაინციებში—ბენგალიაში და დეკანშია.

სპარსეთის რევოლიუციას ეტყობა ისეთი თვისება, თითქოს იგი ებრძვისო კაპიტალიზმის შექრას სპარსეთში, და ამიტომაც იმას რეაქციონური ხასიათი აქვს. იმას დაამარცხებს რუსეთის და დიდა ბრიტანიის იმპერიალიზმი. ინდოეთის რევოლიუცია არის ნაყოფი ეკონომიური განვითარებისა, რომელიც მოხდა ინდოეთში. იგი უფრო და უფრო გაღონიერდება, რაც უფრო-და-უფრო ღრმად გაშლის ფრთას კაპიტალიზმი და გაარღვევს ინდოეთის საზოგადოების დაძველებულს ცხოვრებას და ამნაირათ იგი თავის მხარეზე მიიზიდავს ხალხების ყურადღებას და გააღრმავებს, გააძლიერებს იქაურს რევოლიუციას. რევოლიუციას იქ, ინ-

* იხ. „ზინ. საქ.“ № 30—31.

დღეებში კი ვერაფერი და ველარავინ ველარ დაამარცხებს. რაც შეეხება ოსმალეთისა და ჩინეთის რევოლუციებს, ეს კი ჯერ-ჯერობით წყველიადით არის მოცული, მართლა წარმოადგენენ ისინი პროლოგს ამ ქვეყნების განახლების, მკვდრებით აღდგენისას და დამოუკიდებელ, თავისუფალ პარლამენტარული რეჟიმით შეიარაღებულ ეროვნულ სახელმწიფოებს, თუ ეს— მხოლოდ და მარტო პრელიუდია არის ამ ქვეყნების განათლებისა დიდ-დიდ ევროპის კაპიტალისტურ იმპერიებს შორის...

მაგრამ ევროპის დიდს სახელმწიფოებს რომ კიდევ ხელში ჩაუვარდეს სპარსეთი, ოსმალეთი და ჩინეთი, ამით აღმოსავლეთის რევოლუციებს დასასრული მაინც არ მიეცემა. პირ-იქით! ევროპის სახელმწიფოები მხოლოდ უფრო დააჩქარებენ ამ ქვეყნების ეკონომიურს განვითარებას, უფრო სწრაფადაც შესცვლიან იქ სოციალურ ურთიერთობას და რევოლუციონურ მოძრაობას ახწვევენ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც დგას იგი დამონებულ ინდოეთში. ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ეროვნული მოძრაობა ისტორიულ ეგვიპტეში.

1879 წელს ეგვიპტემ განიცადა სწორეთის, რაც ახლა ხდება აღმოსავლეთში. ეს რევოლუცია იყო მხოლოდ პრელიუდია ინგლისის მიერ ეგვიპტის დამორჩილება-დამონებისა. მაგრამ ინგლისის იქ გაბატონებამ უფრო დააჩქარა ეგვიპტის ეკონომიური განვითარება. ამ განვითარებამ, ერთი მხრით, შექნა ურიცხვი წრეები, ევროპულათ განვითარებულ ეგვიპტელებისა, მეორე მხრით, სულერთიანა გადაატრიალა მთელი იქაური მეურნეობა, ფელახების ცხოვრება და შექნა ნიადაგი, რომელზედაც ძალიან ადვილათ ვითარდებიან ჩვენი თანამედროვე ევროპული იდეები... იქ ხელახლა ძლიერის ტემპით იწყება ნაციონალური მოძრაობა. მუსტაფა ქიამილფაჟის აგიტაცია ახლა ცეცხლის ალივით მოედვა ეგვიპტის მხურვალე არემარეს და ახმედ არაბი ფაჟის *) აგიტაციას

*) იხ. აკაკის ლექსები, სადაც იმისი განთქმული ლექსია დასტამბული არაბი ფაჟისზე გასული საუკუნის 80-იან წლებში და ასე იწყება: მოსტყუვდა არაფი ფა-

ალარ გაეს. და ახლა რევოლუციონური მოძრაობა ისტორიული ეგვიპტისა უფრო ძლიერი და გავლენიანია, ვიდრე ეს იყო ეგვიპტის ოკუპაციის პირველ ხანებში.

ამ ეამად მთელი აღმოსავლეთი თვისი რეფორმაციის წელთა-აღრიცხვის მღელვარე ჩხრი-ალშია. ევროპაში რეფორმაციის ეპოქამ გამოიწვია უღიადესი ეკონომიური შეხლა-შამოხლა, უძლიერესი გადაწვევ-გადმოწვევა ბატონობისა სახელმწიფოებს, ერებსა და კლასებს შორის, უსაშინელესი ომები, სისხლის ღვრანი და რევოლუციები; ამასთანავე საოცარი ცვლილება მოახდინა ევროპის ერების სულიერ ცხოვრებაშიაც.

სწორედ ასეთი ამბებია მოსალოდნელი აღმოსავლეთშიაც. და ეს დიადი ამბები მოახდენს დიდს გავლენას და ზედმოქმედებას თვით ევროპის დასავლეთზედაც. მთელი ევროპის მეურნობა ძალიან მჭიდროთ არის დაკავშირებული აღმოსავლეთის ცხოვრებასთან: ევროპის ინდუსტრია გზავნის საქონლებს აღმოსავლეთში და იქიდან მას გამოაქვს დაუმუშავებელი, უში მასალა; აღმოსავლეთი უხდის ევროპის კაპიტალს უშველებელ, კოლოსალურ გადასახადებს სარგებლის (პროცენტების) სახით იმ ურიცხვი მილიონებისთვის, რომელიც დახარჯულა რკინის გზების გაყვანაში, ზღვებზე ორთქლის გემების მისვლა-მოსვლის გაჩაღებაში, ფაბრიკების, ზავოდების და დიდ-დიდ საეაქრო ფირმების გამართვასა და მოწყობაში. აზიის და აფრიკის სამფლობელოები პირველხარისხოვან, დიდ კაპიტალისტურ მსოფლიო სახელმწიფოებისთვის არსებობის საფუძველს წარმოადგენენ. ამ სამფლობელოების გაფართოება, გადიდება ერთი უპირატესი, უღიადესი მიზანია მსოფლიო პოლიტიკისა...

ყველა ეს ამბავი დიდის სულგრძობით, გონების ღრმა განქვრეტით უნდა გაითვალისწინოს ქართველმა კაცმა, რომლის უტურფესი, უშვენიერესი და ბუნებით უმდიდრესი ქვე-

შა, უბედური და მზე ბნული, ნეტა, ვის ეურჩებოდა, თავისუფლების მძებნელი... მეტი აღარ მახსოვს ზეპირათ. ავტ.

ყანა იმ თავითვე ისტორიის ევროპის და აზიის გზად და ხილად გაუხდია. ჩვენი საქართველოც ურიცხვი ძაფებით გადაბმულია, როგორც დიდ გემზე პატარა, ლამაზი ნაფი, აზიის და ევროპის ეკონომიურს, პოლიტიკურს და სოციალურ ფრიად საგულისხმო ცხოვრების მდინარეობაზე და, რაღა თქმა უნდა, ეს დიდათ დიდი დღეინდელი ისტორიული ამბები ღრმა კვალს გააულებს ჩვენ ცხოვრებასაც...

გულკეთილი.

მასწავლებელთა ცხოვრებიდან.

ყველამ კარგათ იცის, რა უკიდურეს გაქირვებაში არიან სამრევლო შკოლის მასწავლებლები მატერიალური მხრით. მათ არ ეძლევათ არც უფასო ბინა, არც შეშა და არც ნაფი, და ამ უკანასკნელ წლებში არც მოსწავლეებისაგან სწავლის ფული. ეძლევათ მხოლოდ ჯამაგირი და ისიც ისე მცირე, რომ მითი ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველად შეუძლებელია. ასეთ გარემოებებში მასწავლებლები ინსტიქტიურათ ცდილობენ, რომ ან დაუახლოვდნენ თავიანთ ოჯახებს, ან და კეთილები და მეგობრები გაიჩინონ იმ სოფლებში, სადაც მსახურობენ, რომ ამ მხრივ საქმე გაიადვილონ და ცოტა იოლათ გამოვიდნენ ხარჯზე. მოსალოდნელი იყო, რომ სათანადო მთავრობას ამ მხრივ ხელი მოეწყო მასწავლებლებისთვის და მით ცოტათ თუ ბევრათ ხელი შეეწყო მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ, საუბედუროთ, სრულებით წინააღმდეგ მოვლენას ეხედავთ შორაპნის მაზრაში. აქ ხან სრულიად უმიზეზოთ და უმიზეზოთ, თითქოს იმის ჯიბრზე, რომ განგებ ცხოვრება გაუმწარონ, წამოჰკრავენ მასწავლებელს ხელს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგებენ. როგორც ვიცით, ამ გადაყვან-გადმოყვანაში პირველობა ეკუთვნის შორაპნის სამრევლო შკოლების მაზრის მეთვალყურეს რომლის უმართლო მოქმედებაც ამ მხრივ აღსანიშნავია.

ემანუილ.

მრევლისაგან მადლობა.

12 ივლისს ნაწირვებს, მწვანეყვავილის ეკლესიის კრებულისა და მრევლის წარმომადგენელთა თანდასწრებით ამავე ეკლესიის ყოფილმა მნათემ რაქდენ ივანეს ძე ჭირაქაძემ გადააბარა ეკლესიის ყოველი ქონება ახლად-არჩეულ მნათეს უფ. იოსებ ნესტორის ძეს ლორთქიფანიძეს. ეკლესიის შესავალ-გასავლის წიგნის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ბ. ჭირაქაძის ხელში, რომელიც რაღაც 4-ნ თვეა მნათეთ, თუ ცოტა მეტი, ეკლესიის შემოსავალი ერთობ გადიდებულა: თითქმის ორჯერ მეტი გამხთარა, ვინემ რომელიმე მის წინამოადგილეს ხელში. ეს სასიამოვნო მოვლენა მრევლმა და კრებულმა, მიაწერა რა ბ. ჭირაქაძის კეთილ-სინდისიერ და მარჯვე მოქმედებას, დიდი მადლობა შესწირა მას, არ იქნება ურიგო ეს სასიამოვნო მოვლენა ეცნოს მათ მეუფებას, ადგილობით მღვდელმთავარს, რომელიც, იმედია, მნათეთა წასაქებულათ, ულოცვა-კურთხევით არ დასტოვებს ხსენებულ ჭირაქაძეს კეთილი შრომა-მოღვაწეობის გაწვევისათვის ღარიბი მწვანეყვავილის ეკლესიის სასარგებლოთ.

ვინემ მწვანეყვავილელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.